საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში ირაკლი აბაშიძის ქ. № 38-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე

შპს „მშენებლობის ექსპერტი და მედიატორის“ დავალებით 2007 წლის მაისში შემოწმდა „ქ. თბილისში ირაკლი აბაშიძის ქ. № 38-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია“.

შემოწმების მიზანი: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებისა და ტექნიკური დოუმენტაციის დამუშავების დროს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვის დადგენა.

შესამოწმებლად წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების გეოლოგიური ანგარიში აკინძული ერთ წიგნად, რომელშიც მოცემულია:

- ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად – 1ფ;
- ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების ტექსტური ნაწილი – 3 ფ;
- გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგები – 1 ფ;
- გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები – 2 ფ;
- დასკვნა წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით – 1 ფ;
- ძირითადი ქანების – ქვიშაქვების, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრის შედეგები – 1 ფ;
- სამშენებლო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:200 – 1 ფ;
- ჭაბურღილების ჭრილები – 1 ფ;
- ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები – 4 ფ;

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ამხანაგობა „ბარნოვი 140“-ის დაკვეთით სს „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო კვლევების განყოფილებამ ჩაატარა 2003 წლის ოქტომბერში, (ინჟინერ-გეოლოგი - ა. პასიკაშვილი).

დასაპროექტებელი შენობა 13 სართულიანია, სარდაფით. პასუხისმგებლობის მიხედვით II კლასს მიეკუთვნება.

პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0.00=474,65 მ. სარდაფის იატაკი ნულოვანი ნიშნულიდან ჩაღრმავდება - 3,30 მ-ით (471,35 მ).

ტექნიკური დავალების თანახმად სამშენებლო უბნის ჩრდილო ზოლში (ირ. აბაშიძის ქუჩის მხარეს) გაიბურღა ორი ჭაბურღილი - № 1 ჭაბურღილი არსებული ქვაბულის ჩრდ. დასავლეთ კუთხეში, ხოლო № 2 ჭაბურღილი, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ჭაბურღილები გაიბურღა 6,0 მ სიღრმემდე საბურღი დაზგით „უგბ 1 ვს“ 160 მმ დიამეტრით მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით. სამშენებლო უბნის სხვა მონაკვეთებზე ძირითადი კლდოვანი ქანები ბუნებრივად არის გაშიშვლებული.

ძირითადი ქანების (ქვიშაქვების) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებულ იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში.

ქიმიური ანალიზის ჩასატარებლად აღებულია წყლის 2 სინჯი.

გრუნტებისა და წყლის სინჯების გამოკვლევა ჩატარდა სს „საქქალაქმშენპროექტის“ ლაბორატორიაში.

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სამშენებლო ტერიტორია წარმოადგენს მამადავითის ანტიკლინის ჩრდილოეთი ფრთის დაბოლოებას.

სამშენებლო ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის ასაკის (P^3_2) ძირითადი ქანებით, რომლებიც წარმოდგენილია 2 ფენით, მონაცრისფრო ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელი შრეების მორიგეობით (ფენა № 2) და ღურჯი ფერის ქვიშაქვების დასტებით, თიხაფიქლების თხელი შუაშრეებით (ფენა 3).

ძირითადი ქანების შრეების დახრა თანხვედრილია ფერდის დახრის, რაც აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში დამპროექტებლების მიერ. გაშიშვლებების მიხედვით ძირითადი ქანების წოლის ელემენტები, დაქანების აზიმუტი ჩ.დ.340-350^0, შრეების დახრის კუთხე 25-35^0-ია.

არსებული ქვაბულის გარე ზოლში ძირითადი ქანები გადაფარებულია 1 მ სიმძლავრის ნაყარი გრუნტით (tQ_{IV}), რომელიც წარმოდგენილია თიხნარის, ღორღის და აგურის ნატეხების ნარევით (ფენა 1). სამშენებლო ტერიტორიაზე ორივე ჭაბურღილში, ლურჯი ფერის ქვიშაქვების კონტაქტთან 4,7-4,0 მ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან გამოვლინდა მიწისქვეშა წყალი, რომელიც გენეტიკურად ნაპრალოვანს მიეკუთვნება. ქიმიური ანალიზების შედეგების მიხედვით არ ამჟღავნებს აგრესიულობას, პორტლანდცემენტების და სულფატმდგრადი ცემენტების მიმართ. ასევე არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს და საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება I კატეგორიას.

უბანზე გავრცელებულ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოყოფილია ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). I სგე – მონაცრისფრო გამოფიტული ძირითადი ქანები თიხიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა (ფენა 2), II სგე – ლურჯი ფერის, მასიური, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები (ფენა 3).

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული უბანი საიმედოა.

ტექნიკური ანგარიშის ავტორები შენობის საძირკვლის ფუძედ მიიჩნევენ მოლურჯო ფერის ქვიშაქვებს (ფენა № 3) სიმტკიცის ზღვარით ერთღერძა კუმშვაზე R_0=25 მპა (250 კგძ/სმ^2).

საძირკვლის ტიპი კი შეიძლება მიღებულ იქნას როგორც ლენტური ასევე ცალკე მდგომი.

ქვაბულის დამუშავებისას საჭირო იქნება წყალქცევთა სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენა ქვაბულის 1 კვ.მ-ზე მიღებულ იქნეს 0.01ლ/წმ. სეისმურობად მიღებულია 8 ბალი (საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივნისის № 42 ბრძანების თანახმად).

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მიუხედავად ასეთი შეფასებისა მასში არის ზოგიერთი შეცდომაც, კერძოდ:

1. კლდოვანი ქანის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის ცხრილს უნდა ჰქონდეს ავტორის ხელმოწერა.
2. გაუგებარია ზოგიერთი ტერმინი, მაგალითად გვ.2. ბოლო აბზაცის ბოლო წინადადება ,,სამხრეთ მხარეს კი ისინი (ძირითადი ქანები) იზიდებიან და უბანზე ქვაბულის მომზადების პერიოდში გაშიშვლებულ იქნენ ხელოვნურად.

აღნიშნული შენიშვნები პრინციპულ ხასიათს არ ატარებენ და გეოლოგიური ანგარიშის არსსა და ხარისხზე გავლენას არ ახდენენ.

დასკვნა

ქ. თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქ. № 38-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით და მას ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

მშენებლობის საერთაშორისო კატეგორიის
ექსპერტი, ინჟინერ-გეოლოგი გ. ჩიქოვანი



ASN Experts & Consultans

awards this

CERTIFICATE

to

Chikovani Gurami

who was successfully completed the requirements of
Advanced Educational Course (32 hours)

Construction and real estate expertise in EU countries

In Prague, Czech Republic on November 9, 2006

ASN Experts & Consultans s.r.o.
Vodičkova [illegible]
IČO: 26[illegible]

Ing. Jaroslav Kratěna, Phd, Instructor

Dr. Sergey Zakharov

110000 Czech Republic, Prague, Vodičkova 30
License N°3[illegible]/2004

დიპლომი

Ж № 429211

ეს დიპლომი მიეცა გურამ ალექსანდრეს ძე ჩიქოვანს
იმაზე, რომ იგი 1949 წელს შევიდა ს.მ. კიროვის სახ. საქართ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1954 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით „მადნეული საბადოთა გეოლოგია და ძიება".

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1954 წ. 4 " ივლისის გადაწყვეტილებით გ.ა. ჩიქოვანს მიენიჭა სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1954 წ.

სარეგისტრაციო № 5414

ДИПЛОМ

Ж № 429211

Настоящий диплом выдан Чиковани Гураму Александровичу
в том, что он в 1949 году
поступил в Грузинский Ордена Трудового Красного Знамени Политехнический Институт им. С.М. Кирова
и в 1954 году окончил полный курс
названного Института
по специальности „Геология и разведка месторождений полезных ископаемых"

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1954 г.
Чиковани Г.А.
присвоена квалификация горного инженера-геолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 1954 г.

Регистрационный № 5414

Типография им. В. М. Молотова. Гознак. 1951.